ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60. 602613510**

თარიღი:**15/05/2026**

ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად 2026 წლის 23 აპრილს ბრძანება Nბ60. 60261133-ით გამოცხადებული დახურული კონკურსის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესის 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 15 მაისის ბრძანებისა (Nბ60. 60261356) და დავალების (რეგ. N 60-602613565 - 15.05.2026 წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეწყდეს 2026 წლის 15 მაისს, ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად 2026 წლის 23 აპრილს ბრძანება N ბ60.60261133-ით გამოცხადებული დახურული კონკურსი, მერიაში გამოცხადებული რეორგანიზაციის გამო.

2. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს (ამირან კინწურაშვილი) კონკურსის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მთავრობის ადმინისტრაციასა და კონკურსანტებს არაუგვიანეს 2026 წლის 19 მაისისა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სამტრედია,ძმები ნინუების ქუჩა N1).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი